აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

განკარგულება №8

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს
რიგგარეშე პლენარული სხდომის მოწვევის შესახებ

24 ოქტომბერი, 2019 წელი **დაბა ჩაქვი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 68-ე მუხლის შესაბამისად, მოწვეულ იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე პლენარული სხდომა 2019 წლის 25 ოქტომბერს, 12 საათიდან.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 25 ოქტომბრის რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე განსახილველ საკითხთა ნუსხა

1. საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრთა - მრჩეველთა არჩევის შესახებ;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ“ (№80, 12.09.2019წ.) I მოსმენა;

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი _ საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ (№82, 25.09.2019წ.);

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის ანგარიში 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.